საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტიენტი - სს „სარაჯიშვილი“-ს (ს/ნ: 209444065) მიმართ დაკისრებული ფულადი ჯარიმის თაობაზე

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტიენტი - სს „სარაჯიშვილი“ (ს/ნ: 209444065) „პირების და მათი მმართველი ორგანოს წევრების მიმართ, ფასიანი ქაღალდების კანონმდებლობის, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის, „ნებაყოფლობითი კერძო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევისთვის, ფულადი ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის, დაკისრების და აღსრულების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2012 წლის 14 თებერვლის №35/04 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, 1 000 (ათასი) ლარით დააჯარიმა.

აღნიშნული სანქცია მოიცავს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 7 დეკემბრის №172/04 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისათვის კორპორაციული მართვის კოდექსის“ მე-2 მუხლის მე-7, მე-9, მე-11 პუნქტებისა და 24-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნებით გათვალისწინებული 2024 წლის კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის ანგარიშის მითითებულ ვადაში წარუდგენლობას.